

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023


მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2023 წლის აპრილი

ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 4.6 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.03 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 2.3 პროცენტით;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.2 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 10.5 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.8 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების 0.4 პროცენტით კლება დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე. ამასთან, ფასები 9.3 პროცენტით შემცირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე. აღსანიშნავია ასევე ფასების კლება დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 1.8 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 4.6 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების კლება დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 0.2 პროცენტით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 21.2 პროცენტით. ამასთან, დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 9.8 პროცენტით, ხოლო წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე ფასები უცვლელია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის აპრილში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
H	სულ	95.4	-4.63
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	99.8	-0.16
50	წყლის ტრანსპორტის მომსახურება	100.0	0.00
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	78.8	-4.32
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	90.2	-0.14

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.03 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ჯგუფზე ფასები შემცირდა 0.9 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი გაიზარდა 2.3 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 3.7 პროცენტით, ხოლო სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 1.8 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის აპრილში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
J	სულ	102.3	2.29
61.1	სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება	103.7	2.16
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	98.2	-0.06

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.2 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 1.9 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.6 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი გაზრდილია 10.5 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 13.2 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები 8.7 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის აპრილში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
I	სულ	110.5	10.49
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	108.7	4.54
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	113.2	5.95

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი. ტელ: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge